წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, 20 ღვინობისთვე 1916 წ. № 233

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., მეორესა-კნელზე—10 კ., კავკასიის გუბერნიის ... ღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ᲣᲛᲐᲦᲔᲡᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ᲣᲐᲠᲔᲛᲘᲝᲓ ᲦᲘᲠᲡ: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

საადგილ-მამულო კომისია

აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა გამოცდილი

ინჟინერ-მელიორატორი

წლიურ ჯამაგირად მიეცემა 3,600 მან. ამას გარდა 5%. შესრულებულ საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვიდან და ცალკე საგზაო და დღიური გასამრჯელო.

მისამართი: Тифлисъ. Двор. Депут. Собраніе—Земельная комиссія.

(7—211—1)

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროშკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—24) დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ნ. ბ. ძურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „აბალ კლუბის“ ქვეშ)

ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური
	პიროშკები

ადგილობრივი და უცხოური ხაგმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ექიმი ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიციერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

—პროვიზორის ახალგაზრდიანისა—

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოკტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლლას ქ. № 3.

მახსოვს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და ზეხვევას კისრულობს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 343—24)

დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვას. წერეთლის მიერ შედგენილი:

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 30 კაპ.

გამოცემულნი თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. ბოლბაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი

ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—263—5)

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ლირსების შეშა

ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასზე

საკუთარი ტყიდან

ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კიხრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

—იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოო ნამდვილი—

კახური ღვინო

ვანოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

მოქალაქეობრივი სხოვრების დაშლა

ძარცვა-გლეჯას, ავკაცობას და ძალმომრეობას ყოველგან აქვს ადგილი სადაც კი ადამიანთა საზოგადოებანი ბინადრობენ. მაგრამ ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა დაწინაურებულ ქვეყნებში საფუძვლიანად სწარმოებს. იქ სახელმწიფოებრივი ძალა და თვით საზოგადოებაც შეთანხმებულად ებრძვიან ამ მოქალაქობრივი ვითარების დამშლელ ინსტიქტებს და ამ საშვალებით უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და მყუდროებას. ამ ქვეყნებში საზოგადოების ყოველი წევრის სიცოცხლე და ქონება-საკუთრება უზრუნველ ყოფილია. ყველა უშიშრად ეწევა სხვა და სხვა საქმიანობას. სიმდიდრის შეძენის იქ არავის ეშინია და კანონიერი გზით ქონებრივი კეთილდღეობის შექმნა არავის ძილს არ უფრთხობს. ის საზოგადოებანი, სადაც ასეთი მოქალაქობრივი ურთიერთობა არის დამყარებული სწრაფად ვითარდებიან და ძლიერ მალე აღწევენ სულიერი და ქონებრივი კულტურის უმაღლეს საფეხურებს.

სულ სხვაა, როდესაც საზოგადოებაში გამეფებულია ველური ინსტიქტები ადამიანის პიროვნების და საკუთრების უარყოფის და უპატივცემულობისა. არავინ არ არის დაცული სხვის ძალმომრეობისაგან.

ყველასთვის საშიშია, რომ მას წაართვან ხანგრძლივი მუყაითი შრომით და საქმიანობით შეძენილი ქონება. ხშირად ამ სიმდიდრის მეოხებით მას პირად თავისუფლებას წაართმევენ და შესაძლოა მის სიცოცხლესაც გაიმეტებენ. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, შებოჭილია ხალხის ეკონომიური საქმიანობა და შემოქმედება. აღებ-მიცემობას და მრეწველობას, საზოგადოთ ისეთს საქმიანობას, რომლის შემწეობით სიმდიდრე შეიქმნება და წარმოიშობა ყველა გაურბის. თუ ვინმეს სიმდიდრე მოეპოვება, ის მას მალავს, ვერ ამჟღავნებს, რომ ამით არ მიიქციოს ბოროტი ძალების ყურადღება. საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა კერძო პირთა ეკონომიური ვითარების ჯამია და, რასაკვირველია, იქ, სადაც ასეთი ბოროტი ინსტიქტები მძვინვარეს, ეკონომიური კეთილდღეობა არ დამყარდება. საზოგადოება, რომელიც ადამიანის პიროვნებისა და საკუთრების პატივისცემას ჭკარგავს, ყოველთვის და ყოველგან სილარიბეს, სიღატაკეს და ყოველგვარ ქონებრივს თუ ზნეობრივ დაქვეითებას განიცდის.

ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრება უკანასკნელ ხანებში ამ სახიფათო გზით ვითარდება. ძარცვა-გლეჯა, ადამიანთა მოტაცება და ამ ნიადაგზედ—მკვლელობა და დაშავება ჩვენი სამშობლოს მხოლოდ რომელიმე კუთხის უბედურობას უკვე აღარ შეადგენს. ის ფეხს იდგამს და ვრცელდება ყოველგან, ყოველს კუთხეში. მის წინააღმდეგ ულონოა მმართებლობა პოლიციის მიერ მიღებული ზომები მიზანს ვერ აღწევს—ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა ფეხს იკიდებს, უფრო და უფრო ძლიერდება.

ჩვენი ცხოვრების ასეთი ვითარება საშიში და საბედისწეროა. ხალხის ფსიხიკაში ერთხელვე დამკვიდრებული ზნე-ჩვეულება, ბოროტი ზნე-ჩვეულება ცხოვრებაში ადვილად არ წარიშლება და საზოგადოებრივი ზნეობის ამ საშინელი შხამით მოწამლვა უფრო საშიშია ვინემ უდიდესი განსაცდელნი, რომელნიც კარ ოდესმე სწვევია ჩვენს სამშობლოს. განსაკუთრებით საშიშია ასეთი ბოროტება ჩვენი ცხოვრებისთვის ეხლა, როდესაც ჩვენი ერის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საშინელმა ომმა შეიწირა და ჩვენი ქვეყანა ფიზიკურად და სულიერადაც ერთგვარ დასუსტებას და დაუძლურებას განიცდის. საზოგადოების საღი სოციალური ინსტიქტები თვით ვერ უმკლავდებიან ამ სენს და ეს მოვლენა ფრიად ხელს უწყობს მის გაძლიერებას.

ჩვენი ცხოვრების ასეთი ვითარება, საშიში და სახიფათო ჩვენი არსებობისთვის, ეროვნული არსის ყოველივე ნაწილის ყურადღებას და მზრუნველობას უნდა იწვევდეს. ჩვენმა საზოგადოებამ თავი უნდა დაახწიოს ასეთს საოცარს უმოქმედობას და დუმილს, თუ მასში სრულიად არ ჩამქრალა საზოგადოებრივი ცხოველმყოფელი ძალა. ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა და ასეთი ბოროტებები, საშინელი სენი და უბედურებაა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად საზოგადოებამ უნდა მიმართოს ყოველგვარ ღონეს და საშვალებებს და ასეთი ღონისძიებანი უნდა გამონახოს იმ საზოგადოებებმა, რომელნიც სათავეში უდგას ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას. რად სდუმს კულტურულ საზოგადოებათა კავშირი? განა ამაზედ მეტი უბედურობა შეიძლება ეწვიოს ჩვენს ეროვნულ კულტურას, როდესაც ერის სულიერ ცხოვრებაში ფეხს იკიდებ ასეთი ბოროტება? რად სდუმან ჩვენი ქალაქის თვითმართველობანი? განა მათს მოვალეობას არ შეადგენს მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა და პატრონობა?

დროა დავახწიოთ თავი ამ სახიფათო უმოქმედებას და დაუყოვნებლივ შეუდგეთ ბოროტმომქმედებთან ბრძოლას. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოეწყოს ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა ასპარეზზე მომქმედ დაწესებულებათა წარმომადგენელების თათბირი. აქ შემუშავებული გეგმით უნდა ამოქმედდეს ჩვენი საზოგადოება. სკოლა, ეკლესია თუ პრესა და საზოგადოებრივი სხვა ძალები შეთანხმებულად უნდა ამხედრდენ ამ საშინელი სენის წინააღმდეგ.

გ. ვაშაძე.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

რუმინეთის ჩრდილოეთ დასავლეთის ასპარეზზე, მდინ. ჟიუს მიდამოებში ავსტრიელები აუძულებიათ უკან დაეხევნათ. კომპოლუგთან კი, რომელიც ავსტრიის საზღვარიდან სამხრეთით თითქმის 45 ვერსზედ იმყოფება, ფალკენჰაინი სასტიკათ უტევს. აგრეთვე ბრძოლაა გაჩაღებული მდ. ალიუტას ნაპირებზე. სწორედ ამ ალაგებსა აქვს სტატეგიული მნიშვნელობა: კომპოლუნგის აღებით ავსტრიელების ჯარი უკვე თავისუფლად დაეშვება ფერდობზედ და მაშინ პრედეალში მომქმედ რუმინეთის ჯარს ზურგით მოეკვეთა. თვით მდინარე ალიუტაში გაჩაღებული ბრძოლა კომპოლუნგის ოპერაციის დასაფარავადაა დაწყებული. სამაგიეროდ მდ. ჟიუ, აგრეთვე ორშოვის მიდამოებს მოპირდაპირესათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაც უფრო ორს შეიტყუებენ ავსტრიელებს რუმინელები, მით უფრო მათთვის ხელსაყრელი იქნება. ვერც შორეულ მოვლა შეიძლება ამ გზით, რადგან მდებარეობა ისეთია, რომ მოქმედების გაფართოვება ყოვლად შეუძლებელია. კომპოლუნგიდან რკინის გზა იწყება ბუხარესტისაკენ. ამ გზით სვლა ავსტრიელებს მალე ჩამოიყვანს ვალახიის ველზე.

დობრუჯიდან კარგა ხანია აღარა ვითარი ცნობა არ მოსულა. უნდა ვიფიქროთ, რომ მაკენზენი ახლად დაპყრობილ ალაგების გამაგრებაში იქნება ან და ელის ფალკენჰაინის მოქმედების გაფართოებას.

გუშინდელ ჩვენს მიმოხილვაში ის აზრი გავატარეთ, რომ სწორედ მაკენზენის მოქმედებაზეა დამყარებული რუმინეთის წინააღმდეგ დაწყებულ ოპერაციის ბედი. დობრუჯის დაპყრობის შემდეგ, ვამბობდით ჩვენ, მაკენზენი შეეცდება ჩერნოვოდთან გადალახოს მდ. დუნაი და ამ გზით დაიწყოს საერთო ოპერაცია მთელ რუმინეთის წინააღმდეგ. სხვანაირად, რომ ვსთქვით, ჩვენის აზრით საფრთხე რუმინელებს უფრო მაკენზენისგან ელით. ფალკენჰაინის მოქმედებას შეიძლება ფართოდ მონსტრაციის ხასიათიც ჰქონდეს. ახლა ჩვენ ხელთა ზოგიერთ სატახტო გაზეთების მიმომხილველთა წერილები. ზოგიერთი მათგანი უფრო კი კლერჟე, თითქმის ჩვენს აზრს ეთანხმება. რასაც არ სწამს, რომ მაკენზენის დანიშნულება მარტო დობრუჯის დაპყრობა იყოს, მოსკოვის მიმომხილველსაც ჰგონია, რომ მაკენზენი უსათუოდ ჩერნოვოდთან შეეცდება გადალახოს მდ. დუნაი და შემდეგ შეესიოს ვალახია. თვით დიმიტრიევიც საფრთხეს მაკენზენისგან ელის. ასე თუ ისე ლოდინი მაინც და მაინც დიდხანს არ დაგვჭირდება და ძალიან მალე შევიტყობთ, თუ რა მიმართულებას მიიღებს მაკენზენის და ფალკენჰაინის მოქმედება.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, სახელდოვრ სოფ. მიჩიშუკთან და ლიპიდი დოლნოისთან ავსტრო-გერმანელებს საშინელი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რამდენჯერმე სასტიკი იერიში მოუტანიათ, მაგრამ რუსებს მოუგერებიათ. რამდენიმე საათის შემდეგ მათ იერიშები კვლავ განუახლებიათ. ეს ფრიად საგულისხმო ცნობაა. ზემოდ მოხსენებული სოფლები ქალაქ ბეზანის სამხრეთით მდებარეობენ. ჩვენ არ ვიცით რამდენად სერიოზული განზრახვა აქვს აქ მოპირდაპირეს. არც ის ვიცით რა ძალები ჰყავთ ავსტრიელებს თავიანთ განკარგულებაში. ვიცით ხოლოდ, რომ ადრეევე, ამ ერთი-ორი კვირის წინად, სწორედ აქვე, მხოლოდ ცოტა სამხრეთით, სოფ. სვისტელნიკთან, ავსტრიელებმა სასტიკი იერიშების წარმოება დაიწყეს. მაშინ მათმაცდამ და შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა. ახლა დაწყებული შეტევა შეიძლება გაძეორება იყვეს წარსულ ოპერაციისა. თვით ამ ალაგს დიდი მნიშვნელობა აქვს იმით, რომ ავსტრიელები, თუ კი შესძლებენ ბრძოლის ხაზის გარღვევას, ზურგით მოიქცევიან იმ რუსეთის ჯარს, რომელიც მოქმედებს კარპატებში, ე. ი. რუმინეთის საზღვრებთან.

უეჭველია სწორედ ეს განზრახვა უნდა ედოთ გულში ავსტრიელებს. აქ დაწყებულ ოპერაციით მოპირდაპირეს იმედი აქვს რუსების გულისყური მიიპყროს და ამით ფალკენჰაინის არმიას, რომელიც უტევს დორნა-ვატრასთან, მოქმედება გაუადვილოს.

კავკასიის ბრძოლის ველზე მოქმედება გაცხოველდა. ოსმალები გიომიშხანთან და კიგისთან შეტევას განაგრძობენ. სამაგიეროდ რუსები ხამადანის მიმართულებით მათ უკან ახევინებენ.

X.

ომის დეპეშები

19 ივნისიბისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ლუცკის მიმართულებით, პუსტომიტის და ოშევოს მიდამოებში, სვინიუხას სამხრეთით, მავთულების ხლართის განადგურების შემდეგ, ჩვენმა რაზმებმა მტრის წინ წამოწეული სანგრები დაიპყრეს და შიგ გამაგრდნენ. მტრის სამაგიერო იერიში, ოშევის თხრილის დასაბრუნებლად, მოვიგერიეთ. ბრზეჟანის სამხრეთით სოფ. მიჩიშუკის და ლიპიდი დოლინის მიდამოებში, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ, მოპირდაპირემ ზედიზედ მოიტანა იერიშები, მაგრამ მოვიგერიეთ. ნაშუადღევის 4 საათზე მოპირდაპირემ კიდევ სცადა იერიში, მაგრამ მარქაფა ჯარის დახმარებით მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. სოფ. სვისტელნიკის ჩრდილოეთით მთელ ღამეს ხელის ყუმბარებით იყო ბრძოლა, რომელიც მხოლოდ დილით დასცხრა. ტყიან კარპატებში ზარბაზნების სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზი. გუმიშხანეს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. კორშუნ-შარსის მარჯვენა ნაპირას ერთი სახელოვანი პოლკის ნაწილმა შეუტია ოსმალებს, რომლებიც დღემუდამ მოსვენებას არ გვაძლევდნენ და გაჰფანტა.

გუმიშხანეს ჩრდილო - დასავლეთით და კიგის სამხრეთით მტრის მზვერავთა გაძლიერებული შემოტევა მოვიგერიეთ. 15 ივნისბისთვეს მინჯარასთან ბრძოლა ასტყდა. ქამადანის გეზზე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ყურიჯანი და გორამი.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანია. ბუშტინის მიდამოებში, მდ. ნარახტკის ველში, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. რუმინეთის კიმპოლუნგის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა, მდ. ოლიტის მარცხენა ნაპირას. მდ. ჟიუს ველში რუმინელები მტერს ჩრდილოეთისკენ აწვებიან, აქ ხელთ იგდეს 300 ტყვე და 4 ტყვიის მფრქვეველი.

დობრუჯში ცვლილება არ მომხდარა.

სოლუნი. ოფიციალი ცნობა. ლეოვთან საშინელი ბრძოლა გაჩაღდა.

„რუსკი ინვალიდ“-ის სამხედრო მიმომხილველი **გ. კლერუე** სწერს: ამ უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები ჰმოწმობს, რომ ფელდმარშალს მაკენზენს, ჩერნოვოდ კონსტანცის რკინის გზის დაპყრობის შემდეგ გუნებაში უძევს ჩერნოვოდთან ან სადმე მახლობელად მდ. დუნაი გადალახოს. თუმცა ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმა იმაზედაცაა დამოკიდნბული, თუ ფალკენჰაინი რამდენად მიაღწევს მიზანს კრონშტატ-გერმ ნშტატის გეზით.

მაკენზენის გამარჯვებას დობრუჯაში არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, თუ რა თქმა უნდა, სამხედრო მოქმედება დუნაის მარცხენა ნაპირას არ გადაიტანეს. დობრუჯში მაკენზენს იმდენი ჯარი ჰყავს, რომ ყოველ 5 ვერსზე თითო დივიზია ჯარია შეჰედილი. აქ გერმანელებს გარდა, 10 დივიზია ბულგარელებისა და ოსაალებისაა. ტრანსილვანიის ბრძოლის ხაზზე 6-7-ჯერ უფრო თხლად უდგათ ჯარები გერმანელებს. ეს ადვილი გასაგებიცაა, რადგანაც ფალკენჰაინის სამოქმედო ასპარეზი 600 ვერსიან ხაზს უდრის.

უკანასკნელი დეპეშები

შვეიცარიის გაზეთის ცნობით ვლადიმირ-ვოლინის და კოველის მიდამოებში რუსეთის და გერმანელების აუარებელ ჯარს მოუყრია თავი. აქ გერმანელებს განუწყვეტლივ მოჰყავთ საფრანგეთის ფრონტიდან აუარებელი მაშველი ჯარი და ამავე დროს ხმას ავრცელებენ, რომ ბალკანეთის კუნძულზე დიდ ოპერაციებისთვის ვემზადებითო.

„უტრ. როს.“ ცნობით რუსეთის სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე ამ ერთის კვირის განმავლობაში მოწინააღმდეგის იერიშები შესუსტდა. ამ უამად გამოირკვა, ამ მიდამოებში მოწინააღმდეგე იმდენად გამაგრებულა, რომ მის გასარღვევად დიდი მომზადებაა საჭირო.

რუმინეთში მდგომარეობა მეტად სერიოზულია. რუმინიის ყოველ ფრონტზე დიდს შეტაკებას მოელიან. თუმცა მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია, მაგრამ რუმინელები იმდენად მამაცი ხალხია, რომ ბუქარესტს არ დასტოვებენ. მოლდავიის მხარეს ბულგარების რამდენიმე გაბარჯვებას აღნიშნავენ.

ახალი ამბავი

სასახლეში.

მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა დეპუტაცია სტავროპოლის სამაზრო საერობო ხმოსანთა.

დიდმა მთავარმა ბორის ვლადიმირის ძემ თავის ამალით დაათვალიერა ყაზახთა ჯარები დაბანაკებული ნავთლუღში.

ძართული დაწესებულებანი

საქვ. საზ. გამგეობის კრება დღეს 20 ივნისბისთვესაა დანიშნული სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრება განიხილავს ჩურუქსუს საავადმყოფოს სხვაგან გადატანის საკითხს. კრებაზე მოწვეულ არიან ქართველ ექიმთა კომისიის ყველა წევრები.

ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის უწყება. ქ. საქვ. საზოგ. გამგეობამ მიიღო მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობისმკომიტეტის მოქმედების უწყებანი ენკენისთვის განმავლობაში.

ს. ხულოში არსებულ ქ. საქვ. საზ. სახელოსნოს ზეინკლად ინიშნება ანდრია გ. გოგიტაშვილი.

დახმარება. ქ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ, კავკასიის ფრონტზე მყოფ ლტოლვილთა მომწყობ მთავარწმუნებულს გენ. თამამშევს აცნობა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა, ყარსბათომ-სოხუმის ოლქის შემოვლის შემდეგ, დეპეშით აცნობა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას ამ კუთხის მცხოვრებთა უაღრეს გაჭირების შესახებ და სწრაფულ დახმარებას თხოულობს. აცნობებს რა ამ გარემოებას საქველმოქ. საზ. გამგეობა სთხოვს მთავარ რწმუნებულს საჭირო თანხა გადმოსცეს საზოგადოებას საკვებ და სასოფლო სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად ამ დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთათვის.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თავოსნობით დღეს იმართება თათბირი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენებასთან შეკავშირებულ რამდენიმე საკითხის გამოსარკვევად.

წერა კითხვის საზოგადოების გამგეობამ 18 ამა თვეს განიხილა საზოგადოების მდივნის ვარ. ბურჯანაძის მოხსენება შესახებ საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებისა და დაადგინა გაუგზავნოს განყოფილების გამგეობას ასი აღნიშნულ მოხსენებისა და სთხოვოს, რომ იმაში აღნიშნულს ნაკლულევანებათა შესახებ წევრთა რიცხვის გამრავლებისა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს უკეთ მოვლისა, საქმის წარმოების გაუმჯობესებისა და სხ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. კრებაზე არჩეულ იქმნა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს განყოფილებათა სახელმძღვანელო ინსტრუქცია. კომისიაში შედიან: დ. კარიჭაშვილი, გ. რცხილაძე, თ. კიკვაძე და პ. კიკალიშვილი.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება. სოხუმის ოლქის სახალხო სკოლათა ინსპექტორი რაოც უმნიშვნელო მიზეზებს იხვევდა თითზე და დიდი ხნის განმავლობაში ნებართვას არ აძლევდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლები დაეარსებინა გუდაუთსა (აფხაზეთი) და გალში (სამურზაყანო). გუშინ, 19 ამა თვეს, სამოსწავლო ოლქს მზრუნველთან იყვნენ საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი და მდივანი საზოგადოებისა ბ-ნი ვ. ბურჯანაძე, საქმის გარემოება მოახსენეს და სთხოვეს ბოლო მოუღოს ინსპექტორს უსაფუძვლო მოთხოვნილებას. მზრუნველის მოადგილემ ა. ი. სლოვინსკიმ შუამდგომლობის დაკმაყოფილება 2—3 დღეში აღუთქვა.

მთავრობის დაწესებულებანი

საკვებ საკითხის მოსაწესრიგებლად მეფის ნაცვლის თანაშემწის ინფ. გენერლის იანუშკევიჩის თავმჯდომარეობით მოხდა მრავალ-რიცხოვანი ყრილობა მთავრობის წარჩინებულ პირთა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებით. თათბირზე შემუშავდა ახალი პირობანი საკვებ საქმის წარმოების შესახებ. დღემდე ეს საქმე დაკისრებული ჰქონდა მხოლოდ კავკ. მთავარ რწმუნებულს მერე ეს საქმე დაეკისრათ გუბერნატორებს და ქალაქის გამგეობათ. თათბირზე გამოირკვა, რომ ვერც პირველნი და ვერც უკანასკნელნი საქმის გაძღოლას ვერ ახერხებენ, ასე რომ ამ ჟამად, თანახმად ახალ კანონისა, 1 გიორგობისთვიდან ეს საქმე სხვანაირ პირობებში ვარდება. გუბერნატორები და ქალაქის გამგეობანი შეიმუშავებენ განსაზღვრულ ნორმას საჭირო პურისა და სხვა სანოვაგისა ერთი წლის განმავლობაში და ამ ცნობებს უგზავნიან ჩრდილო კავკასიის ჯარების საკვებ საქმის მთავარ რწმუნებულს ბ. დანილევსკის, რომელიც თავის მხრივ უდგენს ამ ცნობებს პეტროგრადის ცენტრალურ კომიტეტს, რომელზედაც დამოკიდებულია დამტკიცება ამ ნორმისა. როცა პეტროგრადში დამტკიცდება ეს ნორმა, მაშინ თვეებზე დაიყოფა საჭირო საკვების რაოდენობა, რომლის სყიდვა ბ. დანილევსკიზეა დაკისრებული. იგი თავის ხარჯით შეისყიდის ამ საკვებს და ნაყიდობის ფუთზე 3 კ. უანგარიშებს გაწეულ ხარჯებს.

ახალი სამხედრო სესხი. დღეს 20 ივნისბისთვეს, დანიშნულია თბ. საგუბერნიო წვრილ კრედიტის კომიტეტის კრება, რომელიც განიხილავს საკითხს თუ რა ზომები იქმნეს მიღებული ახალ სამხედრო სესხის გასაცნობათ მცხოვრებთა შორის.

მოხელეთა კოოპერატივის გამგეობამ აიღო ბინა მადათოვის ქ. აბოვიანცის სახლში, კანტორისა, საწყობისა და სავაჭრო დუქნისათვის. ამ ჟამად მოწყობილობის თადარიგშია გამგეობა.

თბ. კომენდანტი გენ. გაბაშვილი აცხადებს, რომ 20 ივნისბისთვეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველოს ექსარხოსის მიერ გადახდილ იქნება პანაშვიდი იმპერატორი ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად, ამის გამო სამხედრო უწყებაში ამ დღეს ყოველგვარი მუსიკა-სკრავებზე აღკრძალულია.

ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარება. კამერგერი ან. პანოვის თავმჯდომარეობით შემდგარ საგუბერნიო კომიტეტის კრებაზე დაადგინეს: შუამდგომლობა აღიძრას კავკ. მთავარ კომიტეტის წინაშე 25.000 მანეთის დახმარება ერევნის მესაახებ, ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის.

ქალაქის დაწესებულებანი.

დაჭრილ ჯარის კაცთა მომვლელ ქალაქის კომიტეტს ქალაქების კავშირის განყოფილებამ 100,000 მანეთი მისცა მიმდინარე ხარჯების გასაძღოლად.

სასულიერო უწყებაში.

თბ. სასულიერო სემენარიას მომავალ წელს უსრულდება 100 წლის არსებობა. სემენარიის საპედაგოგიო საბჭო სადღესასწაულო პროგრამას ამუშავებს.

სხვა და სხვა ამბები.

მღვდლის მოკვლა. ბორჩ. მაზრის ბარმაქსინის სამრევლოს მღვდლის კირიაკ შახბაზოვის მეუღლემ ხრისტიანამ განუცხადა პოლიციას, რომ ვიღაც უცნობმა თოფით მოჰკლა მისი მეუღლე. ეხლა გამოირკვა, რომ ფოფოდიას თითონ მოუკლავს ქმარი. იგი ჰყვარობდა ალ. მ—ძეს და შუაღამისას ამ საყვარლის რევოლვერით მოუკლავს ქმარი და პოლიციისათვის ტყუილი ცნობა მიუწვდია.

ქისტების თარეში. თიანეთის მაზრის ს. ელიაზღასში 200 სული ქისტი თავს დასხმია ბეწინა მურღვაშვილის და სხვა თუშების ცხვარს და 1600 სული გაუტაცია. დაზარალებულნი დასდევნებიან, მაგრამ ქისტებს სეტყვასავით ტყვია დაუყრიათ და საქონელი მაინც წაუყვანიათ.

ლექცია. სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების გამგეობის მინდობილობით, კვირას, 23 ივნისბისთვეს, დღის 11—12 საათზე, ილია ნაკაშიძე წაიკითხავს სახალხო სახლში ქართულად ლექციას შემდეგ თემაზე: „რა არის ერი?“

გვამის პოვნა. თბ. სადგურს იქით ტრიალ მინდორზე თ-დ ბებუთაშვილის მამულში პოლიციამ აღმოაჩინა გვამი უცნობ პირისა ჯარის კაცის ტანსაცმელში, როგორც ეტყობა ძალად მოკლული. გვამი მიხეილის საავადმყოფოს ანატომიურ განყოფილებაში გაგზავნეს, პიროვნების გამოსარკვევად მიღებულია ზომები.

ტრამვაიდან ჩამოვარდა ელექტრონის ბოძზე თავი გაიჩეხა მუშა ახმედ-ისკანდერ-ოღლიმ, რომელიც საავადმყოფოში გაგზავნეს.

ნაძირალთა თარეში. ს. არალიდან, ახალც. მაზრა, ჩამოსულა ი. გ. მარტიროსიანცი და გუმბრის მატარებლის მოლოდინში სადგურზე მას გასცნობია უცნობი პირი, რომელსაც უთქვამს მისთვის, რომ მეც გუმბრაში მოვდივარ დ, სანამ მატარებელი გავა, ქალაქი დავათვალიეროთო. მარტიროსიანცი დათანხმებულა, უცნობს „პალაე კროშკის“ ვიწრო ქუჩაში შეუყვანია და იქ ამ სხვა უცნობ პირთა დახმარებით წაუქცევიათ იგი და ჯიბიდან პორტმანი 100 მანეთით ამოუცლიათ და ვერცხლის საათი აუხსნიათ. აგრეთვე წაურთმევიათ ნაყიდი ნივთები და მიმალულან.

ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ღა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

6.

ცოლ-ქმარი რომ ესე უგემურად განშორდნენ ერთმანეთს, მათ სახეზედ წამზედ მოიშალა ის ხელოვნური ღიმილი, რომელიც სტუმართან საჩვენებლად დაუთამაშებდათ ბაგეზედ; არც მათი სტუმარი გასულიყო მათი სახლიდან მთლად კმაყოფილი და მხიარული. სანოვაგე სადილზედ მშვენიერი იყო და უხვი, სუფრა ისე იყო გაწყობილი, თითქო განზრახ მოუკაზმავთო სანიმუშოდ, მსახურები თავს ევლებოდნენ მეინახეთ, ყველაფერი ღვთის მოწყალება იყო სადილზედ, რაც კი სულსა და გულს უნდოდა, შვება კი მოშთაბილიყო, სიამეს თუ მხიარულობას ვერ გაეშალნა ფრთები თავისუფლად. ეს იმისთვის, რომ თავისუფლების ნიშანწყალი გამქრალიყო დიასახლისის გზირ თვალთ ქვეშ: მზარეული უსიტყვოდ წყრებოდა, რადგან ქალი ყველა საჭმელს მაინც რამე წუნსა სდებდა, თავმდგომთ ეშინოდათ იმ წვერწამახულ შენიშვნებისა, რომლებით ჰგმერდა მათ წამისწამს ქალბატონი და რომლებზედ უნებლიეთ კვერს უკრავდა მასპინძელი; ბალღები გაკანკულიყვნენ და მთელ თავის ყურადღებას აქცევდნენ დანა-ჩანგლის მარჯვედ ჭერას, ხელსახოცის დროზედ ხმარებას და ყოველგვარ წვრილმან წესს, რომ გესლიანი დარიგება არა ჰსმენოდათ უფროსებისაგან. თითონ მასპინძლები ერთობ ფრთხილად, თითქო კრძალვით დაჰფარფატებდნენ სუფრას და მის მოწყობილებას, ალბათ მისთვის, რომ არაფერი სწყენოდათ სათუთ ნივთებს და უცაბედად არ დაზიანებულიყვნენ მალალნი. სტუმარიც უნებლიეთ განიმსჭვალა იმისი რიდით, რომ რაიმე უხერხულობა არ ჩაედინა, არსად არაფერი დაეწუნწკლებინა და თავისი მოუხერხებლობით არ აეფურტყნა სასტიკი წესი ყოველგვარის მოძრაობისა. ეს მეტის მეტი წინდახედულობა და გადაჭარბებული თვალ-ყურის დევნება ყოველგვარ წვრილმანისა ჰკლავდა სუფრაზედ შვებას, რადგან შვების საფუძველი, თავისუფლება, მთლად იყო იქიდან განდევმილი.

— როგორ ზავთიანად გაუელვა თვალმა ქალს, როცა საუბარში გართულმა ჭიქა პირდაპირ სუფრაზედ დაესდგა! მერმე ის ჩემი ცოდვით სავსე ჭიქის ძირი მამასახლისის ბეჭედივით აიბეჭდა გაქათქათებულზედ,—გაიხსენა პორფირემ

და ეხლაც კი შერცხვა იმ თავის მოუხეშაობისა.

— ვინ ამბობს, ძალიან კარგია წესრიგი და აუცილებელიც, მაგრამ, ვგონებ, შეღავათითა სჯობს იგი სწარმოებდეს, რომ არ შეეწიროს მას თვით შვებაც. წესი ხომ მაინც გარეგანი სახე არის მოქმედებისა, ნაჭუჭი რამ მოვარაყებული და გული რად უნდა ამსხვერპლოს მას, მაჯელობდა შეზარხოშებული და ცოტა გაკილვის ყილიღზედ შემდგარი ვაჟკაცი.

— შე დალოცვილო! მკაცრი წესები ხომ ყველაფერში საჭიროა და სასარგებლო; დიასახლისიც სწორედ იმასა ცდილობდა, რომ იგი წესი ყველას ისე მთლად შეეთვისებინა, რომ ბუნებრივ მოძრაობად გარდაქმნილიყო მათთვის; მაშინ წესს აღარ დასჭირდებოდა მკაცრი ყურადღება და აღარც ვისიმე თავისუფლებას შეზღუდავდა იგი. ქალი სწორედ იმისაგან იყო გაწვალებული, რო არ იქნა, ვერ შეათვისა ეს წესი ოჯახის წევრებს, ვერ შეასისხლხორცა მათ იგი.

შორიდან რომ ათვალიერებდა ეხლა პორფირე მასპინძლის ოჯახს, ისე წარმოუდგა გარემოებები, თითქო იგი უფრო მეტად ბატონკაცურად სცხოვრობდა, სინამ შესაძლო იყო თუნდ იმ დიდ ჯამაგირის პატრონისათვის.

— სწორედ ეს იქნება მიზეზი, რომ უდარდელი სიამოვნება აჰყრია კერას; ალბად ძლივსა სწვდება მათი ქონება მათ ფართო ცხოვრებას და იმიტომ ყოველ წუთსა სცდილობენ არაფერი გაფუჭდეს, თუნდ მცირედი, და მოულოდნელი ხარჯი არ გამოიწვიოს; თანაც ყოველივე ისე იყოს მოწყობილი, როგორც შეჰფერის დიდი დოვლათის მექონს სახლობას,—გაიფიქრა მიმავალმა

და უეცრად გაიელვა მის გონებაში:

— სწორედ აქედან უნდა წარმოსდგებოდეს ხმა პეტრეს მექრთამეობაზედაც, რომელიც ესე არის გავრცელებული; ალბათ უნებლიეთ სცდილობს საწყალი გაიმრავლოს შემოსავალი, რომ დაჰფაროს ხარჯები. ნამდვილ ესე უნდა იყოს, თორემ პეტრე ზნეფაქიზი კაცი იყო და თუ გაჭირება არ დასდგომოდა, ესე არ დამდაბლდებოდა, არ ულალატებდა თავის ბუნებას.

და უნებლიეთ გაივლო გულში ბოროტი.

— ვაჰ, თუ მეც ზღვენი მთხოვეს ი

დალახვრილებმა, როცა მოხერხებულად გამიკრეს სიტყვა ერბოზედ თუ ცხვარზედ! პური მაპამეს და მფსონი მომთხოვეს.

თითონვე შერცხვა ამ სიტყვებისა, ეწყინა, რომ ესე მძიმედ ძრახავდა თვის მეგობარს და გულითად ამხანაგს: ისე შეწუხდა, თითქო მის გასაგონად წარმოეთქვა ეს სიტყვები. და რომ ამის გამო დაესაჯა თავისი თავი, გადასწყვიტა საუკეთესო მოსაკითხი გამოეგზავნა სოფლიდან პეტრესათვის. სხვა მიზეზითაც კი დაასკვნა ეს: უნდოდა ენიშნებინა განდიდებული ნაამხანაგარისთვის, რომ არც თუ ის იყო ბედისაგან დაჩაგრულ-დავწყებული და თუმცა ბრწყინვალე ყოფა არა რგებოდა წლად, მაგრამ დოვლათი კი მიეცა მისთვის გამჩენელს კმასაყოფელი.

ამ ფიქრმა გაიტაცა ვაჟკაცი თავის საკუთარ ოჯახში, ცხადად დაუხატა თვალწინ თავის სახლის გარემოება. წარმოუდგა ვეებერთელა ეზო გარშემორტყმულ - შემოფარგლული. შუა ეზოში ქვითკირის სახლი, რომლის ქვედა სართულში მარანი ჰქონდა მოთავსებული და ათასი სხვა საკუჭნაო. არც სახლი, არც აივანი ისე კოპწიაკად არ იყო, შიგნით თუ გარეთ მორთულ მოკაზმული, როგორც ქალაქური სახლებია მოლამაზებული, არც ისეთი ხეხასი ფერადებით იყო ნაღები, მაგრამ მკვიდრი კი ძალიან იყო და ხომრიელი, მუხის გულით და უშლელი ქვითკირით ნაგები. აივანის სურაიები რა არის და ისინიც კი ისე მტკიცედ იყო ჩამოსხმული, ქვიდან გამოკვეთილი გეგონებოდათ. ახლა ეზოში იმოდენა საქონლის სადგომები, წვრილფეხი და სხვილფეხი პირუტყვისა. მფრინველთა სიმრავლეს ხომ ნულარ იტყვი! სახლის ზევით ხეხილი იყო ჩაყრილი, თითონ პორფირესაგან გაშენებული ხილის ბაღი. სცადა მან ვაზის გაშენებაც, მაგრამ არ იკვარა: სიცივე უსწორობდა ყურძენს, არ იწეოდა. სახლს ქვის გალავანი ერტყა, ხოლო მთელ დანარჩენ მამულს ტყრუშული. შორს წასვლა დასჭირდებოდა თუ წნელისათვის! იქვე იჭრებოდა მშვენიერი მასალა, მის საკუთარ ნაწილში ტყისა. მაგრამ ამ მამულში ყველაზედ ძალიან უყვარდა პორფირეს თავისივე მოაზრებით და შრომით გამოყვანილი წყარო, ბორცვის ძირში რომ გადმოწანწკარებდა თითბრის მილით და ნაკადულად ჩასდევდა მთელ ფართო ეზოს, დილის ნამივით გრილი და წმიდა.

— აი აქ, ამ გორაკის ძირში, წყარო უნდა ამოჩნდეს ნამდვილ; კარგად ვატყობ ამას, ეუბნებოდა პორფირე ცოლს ახლად ჯვარდაწერილი.

— შენ რა იცი, რომ აქ წყალი გადმოვა და წყარო გაიმართება?-შეეკითხა შეყვარებული ქალი.

— ხედავ როგორა ჟონავს ყოველ ნაბიჯზედ. ამ საჟონ ადგილების შეერთება და წყალის ერთ სადენში ლა მოკრება უნდა, რომ საკმაო ნაკადმა იდინოს. ნიადაგშიც ექნება აქ წყალს გზა გაკვალული.

— ოცნების კაცი ხარ! საწყალი მამა ჩემი თითონ გამოიყვანდა მაგ ალაგას წყაროს, თუ კი შესაძლო ყოფილიყო. იმისთანა გამჭრიახი და დაუღალავი მოჯალაბე შენც ხომ ვერ დასდგები. ეს ადგილი ნესტს აძლევსო ჩემს მამულს, იტყოდა ხოლმე ცხონებული და მზად იყო როგორმე მოესპო ეს ჭანჭრობი და მოეშორებინა.

— მამულში ერთბაშ დ არაფერი კეთდება, ჩემო კარგო! რაც იმას ვერ გაუკეთებია, ის ჩვენ უნდა დავამთავროთ და მ დლობით გადულოცოთ ჩვენს შემდეგ, რომ უფრო მეტი სიყვარულით და ერთგულობით უტროფნოს ღალ მდიდარ დედამიწას, ადამიანის ერთადერთ სანდო და გამტან მაცხოვრებელს.

— შენ მამულის შვილი არა ხარ, ნიადაგზედ აზრდილი და მიკვირს ეგრე რად გიყვარს ეს შავი მიწა. შენს განათლებას, ვგონებ, უფრო სუფთა ცხოვრება შეეფერება ქალაქ ადგილას, სინამ აქ ნიადაგის თხრა და საქონლის დევნა.

— მაგრამ მაინც მიყვარს ეს დალოცვილი ნიადაგ! არც შეველევი მას, თუ შენ არ მომთხოვ ამას, ჩემო ყველავ.

— არ მოგთხოვ, რადგან მეც მიყვარს ეს არე. მე არაფერს მოგთხოვ. თითონ შენ აირჩიე ცხოვრების გზა სამუდამო: ეს შენი საქმეა, სახლის ვაჟკაცისა. შენთან ყოველთვის და ყოველგან ესევე კმაყოფილი ვიქნები, როგორც ეხლა,—მიუგო ქალმა.

და ნდობით შეხედა ვაჟკაცს თვალებში. არც უმტყუნა ქალმა ქმარს. ერთგულადა სწევდა იგი მასთან ერთად ცხოვრების უღელს და ეს მით უფრო სასიამოვნოდ რჩებოდა მანდილოსანს, რომ მისი ცხოვრება მარად ისე სუფთად და დაუბრკოლებლივ მიდიოდა წინ, როგორც ის, ის პორფირესაგან მოკრეფილი წყარო, რომელიც აწ აცოცხლებდა მთელ მამულს აყვავებულს.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

ქარუთლი წარმოდგენა. დღეს, 20 ივნობისთვეს, დრამატიულ საზოგადოების მსახიობთა დასი წარმოადგენს ს. ჭანჭურიშვილის პიესას „მორევში“. მონაწილეობას ღებულობს საუკეთესო ძალები.

ერთდროული დახმარება. თანახმნდ საზოგადო კრების დადგენილებისა, „ახალი კლუბის“ ადმინისტრაციამ წარსულ წლის შემოსავლიდან 350 მანეთი გადასცა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ერთდროულ დახმარების სახით.

დ. ზესტაფონი.

დაბის წარმომადგენლებმა დეპეშით სთხოვეს იმპერატორობითი უმაღლესობას, კავკასიის მეფის ნაცვალს, ნებართვა საქალებო პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნაზე ყვირილას სასწავლებელთან.

— ამ დღეებში ექნება სხდომა საზოგადოებისაგან არჩეულ კომისიას საშუალო სკოლის გახსნის შესახებ.

— საქველმოქმედო საზოგადოების ზესტაფონის სარაიონო განყოფილებამ თვის წარმომადგენლად 16 ოქტომბრის საქველმოქმედო საზოგადო საზოგადოების წლიურ კრებაზე დასასწრებად გაგზავნა მდივანი მ. კ. ანთაძე. დაბაში პურის ფქვილი აღარ იშოვება. აღარც შაქარია, საჭიროა ზომების მიღება მიუცალებელი საჭიროების მოსაპოებლად.

თიანეთი.

თავდასხმა. კოპალის ხიდთან სოფ. მაღაროს კართან ხვთ. მ. შავერდაშვილს დაეცნენ 3 შეიარაღებული „ვინტოვკებით“ უცნობი პირი, რომელთაც გაძარცვეს და წაართვეს ცხენი, რომელიც ორწყლიდან შეჰპირდენ დაბრუნებას.

— სოფ. ახმეტასთან თ-დ ჩოლოყაშვილების ტყეში დ. სიხარულიძეს 3 უცნობი შეიარაღებული პირი თავს დაესხა და გაძარცვეს. ზედ მისწრებულნი საშველად გ. ბეჟანიშვილი და ა. ყუბარაშვილიც გაძარცვეს და მიიმალნენ.

ახალ-ციხე.

ყაჩაღებთან შეტაკება. აწყურის ბოქაულს სტრაჟნიკებით ს. ფერსიდან დაბრუნებისას შემოესმა სროლა სოფ. ზაქილიიდან. ბოქაული გაეშურა ს. აგარისკენ. გზაზე შემოხვდა ფეიზულალი ოღლი და განუცხადა, რომ უცნობი პირი მას დაეცა და რევოლვერი ესროლა, მაგრამ მან თავი დააღწია. მისი აზრით ეს თავდამცემი მოსყიდულია. ამ განცხადების შემდეგ ბოქაულმა სტრაჟნიკები დაადევნა და სოფ. ციბუნთან შეიპყრო უცნობი თავდამცემი, რომელიც გამოტყდა, რომ იგი რუსტამ საფარ ოღლიმ ოც თუმნად მოისყიდა. შეპყრობილმა თავი ნ. ჩქოიძეთ დაასახელა. უცნობს რევოლვერი ჩამოართო ბოქაულმა.

სიღნაღი.

თავდასხმა. ბოდბისხევიდან ბრუნდებოდნენ ბაზრიდან სოფ. კონის მცხოვრებნი ნ. ვანიევი, ნ. კოჩიევი და დ. კოჩიევი. სს. ქარსუბანსა და თელას შუა მათ თავს დაესხა ორი უცნობი შეიარაღებული პირი და დაუწყეს ცარცვა. ერთმა მათგანმა, ვანიევმა, ესროლა რევოლვერი და მოკლა ერთი თავდამცემი, რომელიც აღმოჩნდა ნიასიბ-ველი-ოღლი. მეორე თავდამცემმა თავს უშველა.

თელავი.

ჭურდობა. ს. გრემში, ნ. გურასპიშვილის ბინა გაქურდეს ვიღაც უცნობებმა და 314 მან. ნივთეულობა წაიღეს.

— სოფ. ყვარელში, ქვრივ მ. რუსიაშვილის ბინა გაქურდეს და 160 მან. ნივთეულობა წაიღეს.

შავი ქვის მრეწველთა საგანგებო ყრილობა კუთაისში

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 232).

როდესაც საბჭოს წინადადება სალიკვიდაციო მამულების შესყიდვის შესახებ ერთხმად გადაწყვეტილ იქმნა, უცხოელ ექსპორტიორთა წარმომადგენელმა ბ-ნმა **ფოტრენმა** განაცხადა, რომ ყველა უცხოელი ექსპორტიორები წინააღმდეგნი არიან საბჭოს წინადადებისა და რადგან მათ კარგი მოლაპარაკე არა ჰყავთ, საღამოთი წარუდგენენ კრების თავმჯდომარეს თავის პროტესტს ამ საკითხის შესახებ.

თ-დი კ. აბაშიძე ამბობს, რომ საბჭოს არსებობის ოცი წლის განმავლობაში უცხოელი ექსპორტიორები მუდამ საბჭოს წინააღმდეგნი იყვნენ და ყველა მის კეთილ განზრახვას მთელის თავისი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ. იმდენად გაბოროტებულნი არიან თავისი სიძულვილით, რომ თავის ინტერესებსაც კი ეწინააღმდეგებიან და მათი პოლიტიკა სავსებით ემზგავსება ლეგენდარულ ქალის მედეიას ქცევას. საბჭო ისე მიეჩვია მათ უაზრო და სასაცილო გამოსვლებს, რომ მათ ძველი ჩვეულება დღესაც არ გამეორებინათ, ყრილობის წევრთ უსათუოდ მოეწყინებოდათ. მაგრამ ამასთან ერთად მათ მოქმედებას პატარა პროგრამიც ეჭნევა: ძველად ყრილობაზე გაჩუმებულნი იყვნენ და ყრილობის შემდეგ აგზავნიდნენ თავის „დასაბუთებულ“ განცხადება - დასმენას პირდაპირ სამინისტროში და ეხლა კი მხოლოდ ყრილობის თავმჯდომარით დაკმაყოფილდნენ.

ამის შემდეგ ყრილობა გადადის საფუთო გადასახადის მომატების საკითხზედ.

თ-დ კიტა აბაშიძის წინადადებით საბჭოს ბუღგალტერი ა. მ. **კრინიცკი** მოკლედ ასურათებს ყრილობის წინაშე საბჭოს მატერიულ მდგომარეობას, რომლიდგანაც ირკვევა, რომ საბჭო დიდ გასაჭირშია და აუარებელი ვალების დასაფარავად საჭიროა საფუთო გადასახადს ჭიათურიდგან გატანილ შავ ქვაზედ მოეპატოს $^1/_2$ კაპეიკი არსებულ $1^1/_2$ კაპეიკზედ. შუამდგომლობის ნებართვას ამ მომატების შესახებ ითხოვს საბჭო მრეწველთა ყრილობისაგან.

ყრილობამ უკამათოდ და ერთხმად, წინააღმდეგ იმავე უცხოელ ექსპორტიორებისა, გადასწყვიტა ნება მიეცეს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს აღძრას სათანადო შუამდგომლობა გაგადასახადის მოსამატებლად. უცხოელნი ისევ დაჰპირდნენ ყრილობას, რომ თავის განცხადებას საღამოთი წარუდგენენ. ამით დასრულდა ყრილობის მუშაობა და მეორე დღისათვის დანიშნულ იქმნა წაკითხვა ყრილობის ოქმისა და უცხოელთა პროტესტის, რაიც ყრილობის წევრთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა.

16 ივნობისთვეს, წინა დღის სხდომის დამტკიცების შემდეგ, ყრილობის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა უცხოელების მიერ წარდგენილი პროტესტი. ისინი შეუძლებლად სცნობდნენ მხარი დაეჭირათ საბჭოს წინადადებისათვის, რადგან ამაში ისინი ხედავდნენ თავის ინტერესების პირდაპირ წინააღმდეგობას. შესყიდულ მამულების წარმოებისაგან, რომ საბჭომ იზარალოს, მთელი ზარალი მათ უნდა დააწვეს და ისევ ახალი საფუთო გადასახადებით და სხვა ასეთი წყაროებით, რომელნიც პირდაპირ მათ ჯიბეს შეეხება, უნდა გამოიყვანონ საბჭო გასაჭირისაგან და განსჭვრიტავენ რა წინდაწინ მომავალ მდგომარეობას, ისინი შეუძლებლათ სცნობენ ამ წინადადების მიღებას.

ამ განცხადების შემდეგ ბ-ნმა **ნიკო ნიკოლაძემ** საჭიროდ სცნო თავის მხრით განეცხადებინა, რომ მას სრულებით არ აქვს სურვილი უცხოელ ექსპორტიორებთან იკამათოს, მაგრამ იმ განცხადებასთან ერთად, რომელნიც მათ მიერ წარდგენილ იქმნა, აუცილებლად საჭიროა აღნიშნულ იქმნას, რომ არც ერთი შეგნებული მრეწველი, მცოდნე საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობისა, არ გაიმეორებდა ისეთ ახირებულ და თვით მრეწველთათვის პირდაპირ საწინააღმდეგო აზრს, რომელიც გამოთქმულ იქმნა აქაურ უცხოელთა მიერ. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო ხელთ იგდებს ამ მამულების წარმოებას, იგი იქნება ბატონი მთელი მრეწველობისა, შემაერთებელი ყველა მრეწველთა და მასთან ძლიერი მფარველი ყველა წვრილ მწარმოებელთა. ის საშინელი ბოროტება, რომელიც ეხლა სწარმოებს ფასების უცნაურ აწევ-დაწევის გამო და ხშირად ერთი ყყიდის თავის ნაწარმოებს მისთვის ღირებულ ფასად და მეორე კი ამ ფასზე ნაკლებადაც, მოსპობილ იქმნება და შესაძლებელი შეიქნება ფასების იმ ზომამდე აწევა, რომელიც დღევანდელ მდგომარეობაში ყოვლად შეუძლებელია. გარდა ამისა ყველა მრეწველს, როგორც წევრს ამ მრეწველთა ყრილობისას, შეძლება ექნება ახლოს გაეცნოს საბჭოს წარმოებას, რომელიც მუდამ მის კანტროლის ქვეშ იქნება. ხოლო, თუ რომელიმე სხვა საზოგადოება ან კაპიტალისტთა ჯგუფი დაეპატრონება ამ საქმეს, მათთვის დაფარული იქმნება მთელი ორგანიზაცია საქმისა და მათ პირდაპირი მოქიშპე ეყოლებათ, რომელსაც შეუძლია სრულიად მოსპოს სხვა წვრილი მრეწველნი.

ნ. ნიკოლაძის სიტყვის შემდეგ უცხოელი ექსპორტიორები შესთანხმდნენ განცხადება უკან წაღლით, მაგრამ, რადგან იგი უკვე ოქმში შეტანილი იყო, დამატებითი განცხადება შეიტანეს, რომელშიაც ამბობდნენ, რომ ისინი თანახმანი არიან მიემხრონ საბჭოს წინადადებას, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ ვინიცობაა საბჭომ ამ საქმეში იზარალოს, მათ არ დააწვეს კისრად ვალის გასტუმრება.

ა. ი. **გამრეკელის** წინადადებით ყრილობამ ერთხმად საჭიროდ სცნო წინა დღით არსებულ კომისიას მომატებოდა თ-დი **ხიმონ დავითისძე წერეთელი** და კომისიის წევრების ხარჯები ანაზღაურებულ იქმნას საბჭოს მიერ. ამით დასრულდა შავი ქვის მრეწველთა საგანგებო ყრილობა.

—

P. S. გუშინდელ №-ში, შავი ქვის მრეწველთა ყრილობის ანგარიშში სამწუხაროდ, კორექტურული შეცდომაა: ყრილობაზედ დამსწრე პირთა სია უნდა მოყვანილ ყოფილიყო ანგარიშის თავში და არა თ-დ კიტა აბაშიძის სიტყვის შუა ადგილას.

ქარ. საქველმოქმედო საზ. წლიური კრება

აჭარა-ქობულეთის სკოლების მეთვალყურის მოხსენება.

(გაგრძელება)

ბათომის ახალციხის გზატკეცილით გაივლით სად. აჭარის წყალამდე 16 ვერსტს, იქიდგან ართვინის გზით კიდევ ოთხს ვერსტს და მიადგებით მაჭახლის ხიდს. აქედგან შეუხვევთ მარცხნივ სამხრეთისკენ და დაადგებით მაჭახლის ხეობას, რომელიც სიგძით 30 ვერსზე ცოტა მეტია და თავდება სოფ. ხერთვისის ცოტა ზევით კარჩხალის მთის ძირში. თვით ჩხუტუნეთამდე-კი, სადაც დღეს სკოლაა დაარსებული, იქნება 18 ვერსი. სკოლა აქაც მარტის პირველ რიცხვებში გავხსენით. მასწავლებლათ დავნიშნეთ ვინმე ქამუშაძე. მალე ოცამდე შეგირდი მოგროვდა, მაგრამ ბ. ქამუშაძე მაისის პირველ რიცხვებში ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო ადმინისტრაციამ რაღაც ძველი ცოდვების გამო სამოსწავლო უწყების თხოვნით სულ გააძევა ბათომის ოლქიდგან. დარჩა სკოლა უმასწავლებლოდ. მალე მცხოვრებნიც იალაღზედ აიბარგნენ, ასე რომ სკოლაში სწავლა განვაახლეთ მხოლოდ ენკენისთვის პირველ რიცხვებიდგან. დღეს ჩხუტუნეთის სკოლაში მოღვაწეობენ ორი და მგალობლიშვილები. უმცროსი, ქ-ნი ვერა, საგნების მასწავლებელი და უფროსი, ელენტის ქვრივი, ქ-ნი ანეტა, ქალი გამოცდილი, იშვიათი მეოჯახე და უნარიანი, ხელსაქმის მასწავლებელი. ოცის დღის უკან დავხედე ჩვენს გაგზავნილს მუშაკებს. შორიდგანვე გული სიამით აღმევსო. საღამოს ჟამი იყო, როდესაც სკოლის ეზოში შევედი. ეზოში და პატარა სკოლის კიბის მოედანზე ხალხს მრავლად მოეყარა თავი. უკანა კარებიდგან რიდე ახვეული ქალებიც დავინახე. მასწავლებელი ქალები მხიარულად მომეგებნენ. მოსულს მეზობლებს ყველას სახელით მიმართავდნენ, ყველასთან დაშინაურებულიყვნენ, თითქოს წლობით უცხოვრიათო. რაღაც სამედიტორო საქმეშიც ჩარეულიყვნენ ჩვენი ქალები. არიგებდნენ ორ გადაკიდებულ ოჯახს, რომელთაც ქალის თაობაზედ მოსვლოდათ დიდი უსიამოვნება. აქ მათ დიპლომატიას ჯერ არ გაეპრა. აი რა გამოირკვა მათი ოცი დღის აქ ცხოვრებიდგან: სკოლა შედარებით უხერხულ პირობებშია. იგი ემსახურება ორ სოფელს, გალმა ჩიკუნეთს, რომელიც კარგა მოზრდილი აღმართ-დაღმართით არის დაშორებული სკოლის ბინას და გამოღმა ჩხუტუნეთს, რომელიც დაშორებულია სკოლას სამი ვერსით. რომ სკოლას ორივე სოფელი მისწდომოდა, ამისთვის მის ბინად ავარჩიეთ შუა ადგილი.

ამ უხერხულობას მხოლოდ ასე მოუარეთ: რადგან ზამთარი აქ დიდ თოვლიანი იცის და ბავშვებს ცუდ ამინდში შორიდგან გაუჭირდებათ სიარული, ამისათვის ამისთანა შემთხვევისათვის სკოლასთან ვიქონიოთ თავშესაფარი. ზევითა სართულში მასწავლებელთა ბინის გარდა კიდევ რჩება ოთხი ოთახი, სადაც ცუდ ამინდებში ბავშვები თავს ადვილად შეაფარებენ, რომ მეცადინეობას არ მოსცდნენ, ხოლო საზოგადეს უფროსები მოაწვდიან, მასწავლებელი ქალები კიდევ იკისრებენ ბავშვების ყურადღებას. გარდა ამისა თვით მასწავლებელნიც ხშირად ივლიან კარგს ამინდში ხან ერთს სოფელში, ხან მეორეში, მეტადრე ხელსაქმის მასწავლებელი, სადაც მას შეუძლიან ნაყოფიერი მუშაობა. ეს სოფლები რაღაც სასწაულით გადაწვას გადარჩნენ და უნდა მოგახსენოთ, კარგა შეძლებულებიც არიან.

ადგილობრივმა ქალებმა გაიგეს რა, რომ ერთი იმათგანი ჭრა-კერვის მცოდნეა, აღარ ასვენებენ, აჩქარებენ მალე დაიწყონ სწავლება ხელობისა. დაქირავებულს სკოლას გარშემო აქვს შემოღობილი 12 ქცევამდე ეზო, კარგი ნოყიერი მიწა. აქეთ რაღაც მიზეზით ინდაურების მოშენება არა სცოდნიათ. მათ მომრავლებასაც აპირებენ. აპირებენ აგრედვე აბრეშუმის ჭიის შემოღებასაც.

ამავე ქალების თაოსნობით არსდება ჩხუტუნეთში ფურნე, რისაც დიდი მოთხოვნილებაა. ესენივე აპირებენ მოიყვანონ მოკლე დროში გურიიდგან ხარაზი; თორემ ბათომში ტყავს გვაძრობენო, ჩივიან მკვიდრნი. იმედია ამ ხელობის შემსწავლელნიც ბევრნი გამოჩნდებიან. სკოლასთან, როგორც მოგახსენეთ, 12 ქცევამდე, ჩვენებურათ 4 დესეტინამდე, კარგი ნოყიერი მიწა გვაქვს ჩვენს განკარგულებაში. ჩემის აზრით ძალიან კარგი იქნება აქ ერთი კარგი პრაქტიკი საქმის მოყვარე მეურნე; მან უნდა გააკეთოს სკოლის ადგილში სანერგე საუკეთესო ჯიშის ხეხილისა და ბოსტანი. წერა-კითხვის და პრაქტიკული სკოლა აქ ხელი-ხელ გადაჭდეული უნდა მიდიოდნენ ერთად, თუ მართლა ნამდვილი სკოლა გვწადიან ამ ხალხისთვის. ეხლაც ვკვაკვირვებს აქაური ხილის ღირსება, რაოდენობა.

ბათომიდგან 35 ვერსის სიშორეზედ, ქედასთან ახლოს მდებარეობს ქვემო აგარა. მარტის პირველებში გაიხსნა აქაც სკოლა, სადაც დაინიშნა მასწავლებლათ ნიკიფორე გეგელია. მალე შეიკრიფა 46 მოწაფე, ამათში ცხრა ქალი. სკოლა აქაც ნაქირავებ სახლში მოვათავსეთ. აგარელებმა ჯერ ისევ გაზაფხულზედა მთხოვეს მეორე მასწავლებელი ქალი დაგვენიშნა, რადგანაც მოსალოდნელი იყო ენკენისთვიდგან მოსწავლეთა რიცხვის ბევრად მომატება მეტადრე ქალებისა. ენკენისთვისთვის მართლაც დავიქირავე და მოვაწყე მეორე განყოფილებისთვის სახლი და ენკენისთვის პირველებში კიდეც შეუდგა თავის საქმეს ახლად დანიშნული მასწავლებელი ქალი ნინო იორაშვილისა.

სოფ. აგარაში, როგორც ყველგან აქეთკენ, დიდი სივიწროვეა და შემშილი მიწისა. მიუხედავად ამისა ბედნიერი შემთხვევის გამო (აქ მიწას ფასს არა სდებენ, რადგან არცა ჰყიდიან) ოთხს დესეტინაზედ მეტი მშვენიერი ადგილი შეეძინეთ სკოლისთვის 1700 მან. პატრონი ჩაქვაშია გაზრდილი და იქ გადასახლდა. აქაც საჭიროა საკუთარი სახლის აშენება და სანერგეს გამართვა. აგარის სამეურნეო ოჯახობა გაუწევს სამსახურს მთელს ქვემო და ნახევარს ზემო აჭარის მცხოვრებთ.

მეექვსე სკოლა დავაარსეთ ზემო აგარაში ხულოდგან 18 ვერსის სიშორეზედ, ხოლო ბათომიდგან ასამდე, ეგრედ წოდებულს ღორჯომის ხეობაში. სკოლა გაზაფხულზედ გვიან გავხსენით; მცხოვრებნი მალე იალაღზედ აიბარგნენ. რადგანაც სკოლისათვის მისახერხებელი სახლი ვერ ვიშოვეთ, სოფელმა დროებით დაგვითმო ჯამესთან ახლოს მდებარე მედრესეს შენობა. ეს შენობა ორ სართულიანია, შედარებით ფართო და ნათელი. ოთახები გადავაკეთეთ, ფანჯრები გავადიდეთ და დროებით აქ მოვაწყეთ მეცადინეობა და მასწავლებელიც შიგვე დავაბინავეთ.

საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ აჭარაში ქალების მუშაობას მეტი ნაყოფი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამაკაცებისას. ქალებს გავლენა აქვთ როგორც მამაკაცებზედ, ისე ქალებზედ და საზოგადოდ მთელს აჭარელის ოჯახზედ. მას შეუძლიან შიგ ოჯახში შეიჭრას, მთელი ევოლიუცია მოახდინოს, მასში ბევრი რამ კარგი შეიტანოს, შეალამაზოს. მამაკაცები კი ამ საშუალებას მოკლებულნი არიან. მათთვის აჭარელის ოჯახი გადარაზულია.

დაგვრჩა ეხლა ხულო. აქ ჩვენ დავაარსეთ სახელოსნო, სამეედლო, საზეინკლო და სადურგლო. აქვე არის მოწყობილი საფუტკრე თავის მეფუტკრით. ამ სახელოსნოებისთვის ჩვენ გვინდოდა მიგვეცა ნამდვილი პრაქტიკული ხასიათი. გვინდოდა იმ ხალხში, სადაც არ ეტანებიან არაფერს ხელობას, ჩხირის გათლაც კი კარგად არ ეხერხებათ და რომ ლაზები არ უშენებდნენ სახლებს, არ ვიცი როგორ წავიდოდნენ იოლათ, გვინდოდა ამისთანა ხალხში ჩაგვესახა სურვილი მაინც ამ ხელობებისადმი და შემდეგ კი თავის თავად განვითარების გზას დაადგებოდა, რადგან, როგორც ზევითა ვსთქვი, აჭარელი წამბაძველიც არის და ცნობის მოყვარეც. მით უფრო, მოთხოვნილება ყველა ამ ხელობისა ოჯახებში დიდია. დღეს კი იძულებულნი არიან ეყვლეფინონ უცხოთ მოსულს ხელოსნებს, სომხებს და სხვებს. მთელი აჭარა წარმოადგენს საუკეთესო პირობებს მეფუტკრეობისათვის. ბლომათაცა ჰყავთ მკვიდრთ, ჩვენს სადურგლოში ჩვენი ხელოსნის ხელმძღვანელობით აჭარელი თავის მოტანილ ხის მასალისაგან აკეთებდა ახალი სისტემის სკებს. ბევრმა სკებიც გააკეთა და გაკეთებაც ისწავლა. არიან ისეთები, რომელთაც განზრახვა აქვთ ათობით გაიკეთონ ამისთანა სკები. ლამაზად მოწყობილს ჩვენს პატარა სახელოსნოში გაზაფხულზედვე გაისმა ხერხისა და შალაშინის ხმა. ამუშავდა მეფუტკრეც. დატრიალდა ჩვენი ვირტუოზი მეფუტკრე აპ. წულაძე. ხალხი ბუზივით დაერია. აკაკუნდა საზენელო, ახმაურდა სამჭედლო. მრავალნი აპირობდნენ ამ ხელობების შესწავლას. უტყუარი ნიშნები დიდს პრაქტიკულს შედეგს უქადდა სახელოსნო-საფუტკრეს. მაგრამ... სტაცეს ხელი და გამოაძეს სრულიად აჭარიდგან აპ. წულაძე. გახურებულ მუშაობაზედ ხელი ააღებინეს. ჩვენს უღლობაზედ გახდა ავად ჩვენი იმედი, უფროსი ხელოსანი სიმონ ჯიღაური, რომელიც მალე ახალგაზრდა ჯანით სავსე საჭირო კაცი ხელიდგან გამოგვეცალა. და აი დღემდის ვეღარ გვიშოვია განსვენებული ჯიღაურის მოადგილე. ვერ ემსახურებიან კოხტათ მოწყობილი პატარა ქარხნები თავიანთ დანიშნულებას. მარტო დურგლის კაკუნილა ისმოდა სადურგლოში, სადაც კეთდებოდა სკოლებისთვის საჭირო ავეჯეულობა და დახედე ბედს! დღეს ისიც 42 წლის ვაჟკაცი ჯარში გაიწვიეს, გამოიკეტა უკანასკნელი კარებიც ჩვენი სახელოსნოსი და როდის გაიღება ამ შავბნელ დროში მისი კარები, ძნელი სათქმელია. ჯერ-ჯერობით არაკანა სჩანს ხელოსანი იქ წამსვლელი. დღეს მარტო ერთი ბეჩავი ფუტკარი და ბზუის მთელს ხულოში.

სასკოლო სახლებს სამგან ოჯახური წესით ვაშენებთ, რადგან მოჯარადრე არავინ გამოჩნდა. ამ პირობებში, როდესაც ყოველ დღე იცვლება საზღვაროთ ფასები, ვერავინ გაბედა იჯარით აღება. ამან ჩაყლაპა მთელი ჩვენი დრო, ასე რომ იმერხევი დი შავშეთი დაგვრჩა ამ დროებით მოუვლელი. გვინდოდა წყალსიმერში მასწავლებლის გაგზავნა, მაგრამ ბევრმა ძებნამ საიმედო კაცისამ, ამაოდ ჩაარა. რიგიანი ვერსად ვიშოკვთ. ქალის იქ გაგზავნა კიდევ ძრიელ მოუხერხებელია. წამოსკლისას გამოჩნდა ერთი, რომელიც იქნება გაიგზავნოს.

ძრიელ საჭიროთ მიმაჩნია აუცილებლივ სკოლის გახსნა სახლარიის ხეობაში, ამ აჭარის თვალში; ხოლო იმ პირობით, რომ სკოლასთან ერთად დაარსდეს სამეურნეო პუნკტი და სანერგე ხეხილისა და ვაზისა. ეს სანერგე და მისი მეურნე გაუწევს სამსახურს მთელს ზედა აჭარას.

აი სულ, რის გაკეთებაც მოვახერხეთ ჯერ-ჯერობით ამ ქვეყანაში. ბევრს გაკეთება შეიძლება აქ და ადვილადაც, თუ პირობებმა ხელი არ შეგვიშალეს.

სოფლად

II

კახეთი

2ა. თელავის შემნახველ გამხესხებელი ამხანაგობა და ბ-ნ დ. ლუკაშვილის ხიმართლე.

შესავალი.

ამ წერილს რიგს გარეშე უშვებ, ვინაიდან კახეთის კოოპერატივების კავშირის კრება არის დანიშნული 23 ამ თვეს და ქართული საზოგადოება დაინტერესებულია თელავის შ. გ ამხანაგობის, მასთანავე დ. ლუკაშვილისაქმითა, ამის გამო ჩემის მგზავრობის თანდათანობას ვარღვევ.

როგორც კერძო პირი ცნობის მოყვარეობამ მაიძულა თელ. შ. გ. ამხანაგობის საქმეებს გავსცნობოდი, ეს გაცნობა „საქართველოს“ რედაქციამაც დამავალა.

შესაძლებელია ჩემი მსჯელობა მიდგომით აღმოჩნდეს, მაგრამ ჩემს რწმენას და აღდგომ არ ვალატობ. დ ლუკაშვილს ახლოს არ ვიცნობ, მხოლოდ გურჯაანის სადგურზედ შეხვედრით გავიცანი, მან ჩემზედ კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თითქოს შევამჩნიე, რომ მას თავის გამოჩენა უნდა ჰვარებოდეს და რა გასაკვირველია, ფარშავანგსაც უყვარს მაყურებელთან ყელის მოღერება და თავის გვირგვინის ჩვენება.

და თუ ეს ნაკლულევანებად მას ჩაეთვლება, მე მაინც იგი გულწრფელ ადამიანად ვიცანი.

თელავის ამხანაგობის საქმეებს დაწვრილებით არ განვიხილავ, მიტომ რომ ეს ჩემი საქმე არ არის, უკვე სარევიზიო კომისიამ წვრილი კრედიტის ინსპექტორ ვიფორსის თავმჯდომარეობით განიხილა, [illegible] საერთო საქმის ვითარ[illegible] ბრივ შეხედულებას გამოვსთქვამ და, თუ ეს ჩემი მსჯელობა მიდგომით აღმოჩნდა, ქართველ საზოგადოების წინაშე ბოდიშს ვიხდი.

ახლა საქმეს შეუდგეთ.

ფინანსიური მხარე.

თელავის შემ.-გ. ამხანაგობა დაარსდა 1912 წ. ივლისში; როგორც უოველთვის,—ახალი საქმე ძნელად ვითარდება და ბევრს არავის აინტერესებს საქმეში ჩაბმა, ისევ თუ საქმის მოყვარენი და იდეით გატაცებულნი ჩაებმიან ხოლმე. თელავის ამხანაგობაც აგრეთვე გახლდათ და მათი დამწყებნი საქმისა ღილიით შეშას ეზ-დებოდნენ სადგომში, სადაც მოთავსებული იყო ახლად გახსნილი ამხანაგობა, და სიცივეთ შეწუხებულნი ხელებს ითბობდნენ ხოლმე.

და როდესაც ჩაერია ამ საქმეში დ. ლუკაშვილი, დატრიალდა სხვა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში, თელავის ამხანაგობას ყველგან კეთილი გაუხსნა, საქმე გააჩაღა, გაიზარდა, მაშინ მხოლოთ ყურები ცქვიტეს ვითომდა „ოპოზიციის“ პირებმა და დაიწყო მითქმა-მოთქმა: ფული შეჭამა ლუკაშვილმა! კაცო, ლუკაშვილი ექვს მანეთიან წინდებს იცვამს“ და სხვ.

და დაიწყო ჭორიკანობა, შური და მტრობა.

და ჩვენც დავიწყოთ ციფრებით საქმის გარჩევა.

თელ. ამხ. დღეს 2 367 წევრი ჰყავს. ამ დაწესებულებაში 30 ინტელიგენტი მსახურობს და 11 მოჯამაგირე მუშაობს, რომელზედაც იხარჯება 11,812 მან.

1-ლს ენკენისთვემდის ფულის ტრიალი ყოფილა 605083 მან. 34 კ.

დ. ლუკაშვილის მოთავეობით თელ. შ. გ. ამხან. სასურსათო ოპერაციას ეწევა და გამოიხატება შემდეგში: დღეს თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრების და თბილისის ამხანაგობებისათვის მიუწოდებია ხორბალი 250000 ფუთი, ფქვილი—200000 ფუთი, შაქარი—100,000 ფ., ქერი—10000 ფ., სიმინდი—50000 ფ., შაბიამანი—14000 ფ., გოგირდი—16000 ფ.

სამეურნეო იარაღებით ხელი გაუმართა და გამოუწერა მეურნეებს: სასხურებელი აპარატი—100 ც., საბერველი—100 ც., გუთანი—30 და სასხლავი დანებიც 40. მეჩუსტე-მეწაღეებს გამოუწერა ტყავეულობა 60,000 მანეთისა.

ცალ-ცალკე რა აღმოუჩინია თითო ამხანაგობას, შორს წაგვიყვანს, 34 ამხანაგობას კი დაეხმარა სასურსათო საქმეში თელ. ამხ.

იმ დროს, როდესაც სოფლის ბაზარზედ 1915 წ. ფუთი შაბიამანი ფასობდა 40 მან., თელ. ამხ. კი ჰყიდდა 8 მან., გოგირდი ფასობდა 17—18 მან., ჰყიდდა—3 მან.

ამ მიმდინარე წელს კი შაბიამანი იყიდებოდა 100—120 მან., თელ. ამხ. კი 17 მან. ჰყიდდა. აგრეთვე გოგირდი 40—50—60 მან. ფასობდა, როცა 12—13მანეთში ჰყიდდა.

ამისაც მიხედვით თელ. ამხანაგობა სცდილობს, რომ საკვები სურსათი მიაწოდოს, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში, იმ დროს, როდესაც ღვარძლიანი ხორბალი ბაზარზედ იყიდებოდა ფუთი სამ მანეთად და მეტადაც, თელ. ამხან. კოოპერატივებს და თავის წევრებს აწვდიდა ყუბანის საუკეთესო ხორბალს ფუთს 1 მან. 64 კ.—2 მან. და ფქვილს—2 მ. 30 კ—2 მ. 40 კ., როდესაც ფქვილი ბაზარზედ ფასობდა 3—4 მან.

აგრეთვე იგივე ითქმის სიმინდზედ, შაქარზედ და სხვა პირველ მოსახმარებელ საქონელზედ.

ყოველდღე მოდის საქონელი, საკვები, სურსათი თელ. ამხ. და ჩემს აქ ყოფნის დროს მოუვიდა 15 ვაგონი ხორბალი, 7 ვაგონი ფქვილი, 1 ვაგონი შაქარი და მთელ თელავს არ განუცდია ის უპურობა, რაც ქალაქის საბჭოს მიერ ძლეკა-მოსილმა თბილისმა განიცადა.

თელავის ქალაქის თავის და მამების ანაბარა რომ ყოფილიყვნენ აქაური მცხოვრებნი, ხომ შიმშილით ამოწყდებოდნენ.

თელ. ამხ. აწვდის აგრეთვე სურსათს ლეკებს, თათრებს, თუშებს, ხევსურებს და სხვ.

და ამ სამი წლის განმავლობაში 1914—1915—1916 წწ. თელავის ამხ შეუძენია არა ნაკლებ საკვების, საწამლებელის და სახელოსნო საქონლისა 1.326,379 მან. 31 კაპ. და რა ეუწყა ყველას, რომ თელ. ამხ. საქმე ფართედ დაიყენა, საზოგადოდ აქცია, ყველას დახმარებას უჩენდა, აი ამის გამო სახელმწიფო ბანკმაც 100,000 მანეთის კრედიტი გაუხსნა, კერძო ბანკებმაც ნდობა გამოუცხა-

დეს ერთი მილიონისა და მცხოვრებლებშიაც ნდობა მოიპოვა, რომელთაც მიაბარეს შესანახად 688,137 მ. 37 კ.

თელ. ამხ. ბ-ნ სუხოდოლსკისაგან შეიძინა საუკეთესო ადგილს თელავის ბულვარის წინ ორსართულიანი შენობა, რომელიც დაუჯდა 31,650 მან. დღეს ამ სახლში აძლევენ 60,000 მან. და ასეთი ალიაქოთი გამოისწვია ამ სახლმა და დ. ლუკაშვილს სწამებენ, რომ 2,000 მან. ჩაჯიბაო, ამაში რამდენად მართალია, ამას დავინახავთ ქვემოდ.

ამას გარდა დ. ლუკაშვილის ინიციატივით დაარსდა თელავის მომხმარებელი ამხანაგობა 1916 წ. თებერვალში, წევრი ჰყავს 1,700, საწევრო გადასახადია 6 მან. და ფულის ტრიალია 12 სექტემბრამდის 39,772 მ. 89 კ.

ზნეობრივი მხარე.

თელ. ამხ, „ოპოზიცია“, ის ხუთი შემკითხველნი, რომელნიც ბრალსა სდებენ დ. ლუკაშვილს, ორი მთავარი ბრალდება გამოიხატება, ერთი რომ დ. ლუკაშვილმა 2,000 მან. მიითვისა და მეორე, რომ კომისიონერობას ეწეოდა; დანარჩენი საწყვრიმანო საქმეა, არც შევეხები, ისედაც წერილი გრძელდება.

დავიწყოთ პირველიდან.

თელ. შ. გ. ამხ. საბჭოს თავმჯდომარე ალექ. რევ. ვახვახიშვილი ეკითხება სუხოდოლსკის წერილით ამ 2,000 მანეთის შესახებ.

სუხოდოლსკი უპასუხებს:

„Предсѣдателю Совѣта Телав. Ссудо-сберегат. Товарищ. Алек. Рев. Вахвахову. На письмо Ваше отъ 12-го апрѣля с. г. увѣдомляю, что такъ какъ вслѣдствіе настоятельной просьбы Д. П. Лукашвили я нашелъ возможнымъ уменьшить цифру проданной цѣны за домъ въ Телавѣ на двѣ тысяча руб., то вмѣсто возврата этих денегъ, была мною тогда же выдана ему росписка долговая на эту сумму, а такъ какъ въ настоящее время, означенный домъ, мною сполна погашенъ, то и росписка возвращена. В. Суходольскій. 1916 г. 15-го іюля.

ამ წერილში არა სჩანს, რამდენ ათას მანეთად გაურიგდა დ. ლუკაშვილი სუხოდოლსკის. შესაძლებელია ეჭვი შეიტანოთ, იქნება 19000 მანეთად იყო გარიგებული და ამ ჯამიდან 2000 მან. დააკლო?

ამის გასაქარწყლებლად შემდეგი საბუთია: იმ დროს დ. ლუკაშვილი თბილისში იყო, მგონი სექტემბერში, როდესაც სუხოდოლსკის ვექილი ალ. ნიკ. ვიოლონჩი თელავში ჩავიდა რუსეთიდან, მაშინ თელავ. მომხმარებ. ამხანაგ. თავმჯდომარემ და თელავის მომრიგებელ მოსამართლემ ესტ. პაატაშვილმა პატივცემულ პირების თანადასწრებით შეკითხვა მისცა ვექილს ამ ფულის გამოსარკვევათ, მან, იქ დამსწრეთ განუცხადა, 21000 მ. ბანკის ვალს გარდა გავრიგდით, ორნაწილად ნაღდად მივიღეთო, შემდეგ ლუკაშვილის თხოვნით 2000 მან. ამხ შეაწია, ნაღდი კი არ მისცა, ამ ჯამის თამასუქი მისცა და შემდეგ ხომ ეს თამასუქიც გაანაღდეთო და ეს ციფრები ჩვენს საბუღალტერო წიგნებშია გატარებულია, როდესაც მოსკოვს დავბრუნდები ამის შესახებ ველა საბუთებს მოგაწოდებთო.

ამ სიტყვებთან ერთად დაუტოვა სადარბაზო ბარათიც.

მგონი, რომ ამას განმარტება აღარ სჭირია და ხუთი შემკითხველებისაგან ცილის წამებაა.

რაც შეეხება კომისიონერობას დ. ლუკაშვილისა გამოიხატა შემდეგში, ვითომ ნიორაძეს თავისი ნებით და სურვილით შაბიამანი დაუთმო.

ნამდვილად კი დ. ლუკაშვილი უარზედ იყო ნიორაძესთვის ფული მიეცა.

მაშინ ნიორაძეს თხოვნით ქუთაისის მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტი დეპეშას უგზავნის დ. ლუკაშვილს 24 ივნისს 1916 წ. „Ніорадзе выдайте 1000 пудовъ, отобравъ обязательство продавать купоросъ установленными комитетомъ цѣнами. Обязательство переслать. Замѣститель предсѣдателя комитета Василіевскій“.

დ. ლუკაშვილი მაინც არ აძლევს, ნიორაძე ხელმეორედ მიმართავს ქუთაისის კომიტეტს: „Срочное. 10. Комитету Виноградарства Кутаисъ. Телавское Товарищество не выдаетъ отправленныя мнѣ изъ Квирилы купоросъ безъ Вашего разрѣшенія, прошу срочно телеграфировать Товариществу разрѣшить выдать купоросъ и продавать подъ вашимъ наблюденіемъ. Ніорадзе“.

ამის შემდეგ დ. ლუკაშვილს დეპეშა მოსდის: „Ніорадзе далъ обязательство, прошу выдать купоросъ. Предсѣдатель Комитета Н. Мулинъ.

ამის შემდეგ განა შეიძლება ითქვას, რომ ნიორაძეს კომისიონერობას უწევს დ. ლუკაშვილი? და რაც შეეხება ლალიძესთან, მან ეს შეცდომა აღვიარა, რავქნაო, როგორც თანამემაგულეს და ქართველს ისე გაუმართე ხელიო.

„ოპოზიციას“ კი შეეძლო შენიშვნა მიეცა დ. ლუკაშვილისათვის და საქვეყნოთ არ გაეხადა საქმე.

ნუ ხართ სასტიკნი და ულმობელნი! ამხანაგობას ხომ არ უზარალნია?

ქართველს კაცს გაუმართა ხელი.

თქვენ იტყვით, ეგ სულ ერთია, ვაჭარი-ვაჭარიაო, კოოპერაციამ ეროვნება არ იცისო.

მე კი თელავის ამხანაგობას ვუყურებ როგორც ეროვნულ დაწესებულებას, ეს ერთად ერთი დაწესებულებაა კახეთში, რომელიც ებრძვის იმ ვაჭრებს, ვის ხელშიაც დღემდის ხალხი იყვლიფებოდა და მათ სიმწვავეს განიცდიდა.

დღეს თელ. შემ. გამ. ამხ. მცხოვრებთ სესხს აძლევს 8 პროცენტად, თელავის ვაჭრები კი თუმანზედ-თუმანს ახდევინებდნენ.

თქვენ ხომ მაინც იმ ხუთ შემკითხველთაგან ეროვნება არა გრწამთ, იმ დროს როდესაც თელავის ქალაქის არჩევნებში არც ერთი ქართველი არ აირჩიეს, ქართველებმა მათკენ პირი იბრუნეს, თქვენგანმა ერთმა კი დროებით ქალაქის თავის თანაშემწეობა იკისრა და მასთანვე ზოგიერთ მათ პირებთან კავშირს იჭერს, როგორმე დ. ლუკაშვილი ამხანაგობიდან განაძევონ.

ხელები იქით! ღირსი არა ხართ ამ ამხანაგობისა!

ერთის თვის რევიზიამ ის ბოროტმოქმედება, რომელსაც ხუთი შემკითხველნი აბრალებდნენ, ვერ აღმოაჩინა, მხოლოთ ტეხნიკურის მხრივ საბუღალტერო წესები არ ყოფილა დაცული, მაგალითად ერთი გრაფის მაგივრად მეორე გრაფში ჩაუწერიათ და სხვ. ან რომელიმე ჯამი არ შეუტანიათ წიგნებში, მაგალითად, საამხანაგო სახლისა, სუხოდოლსკისაგან რომ შეიძინეს, არ შეუტანიათ ბანკის ვალი 10550 მან. და სხვ. ამისთანა წვრილმანი საქმეები ეს ბოროტმოქმედება არ არის.

დ. ლუკაშვილი დადიოდა აქეთ-იქით, ბანკის მოსავსახურეები ჯერ გამოუცდელნი არიან და განა გასაკვირველი არ არის, რომ კიდევ ასე ქარგათ მოაგვარეს საქმე?

ბოლოს რევიზია თავის დასკვნას ამბობს: „Въ заключеніе еще разъ обращаю вниманіе Правленія на необходимость большого наблюденія за постановкой ссудной операціи и внутренныхъ порядковъ по счетоводству и дѣлопроизводству и должной осторожности и въ веденіи посредническихъ операцій“.

რევიზიამ ამაზე დიდი ცოდვა ვერ უპოვნა.

Legatus.

ქართველი სამღვდელოება

მიმდინარე ომმა, მსხვილ ვაჭრებს გარდა, ყველა განსაცდელში ჩაადგო; ყველას შეურყია მამაპაპიდან მოყვანილი ოჯახი და ნივთიერის მხრით გაღატაკების გზაზე დააყენა. ამ უბედურებას, რასაკვირველია, ვერც ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა ასცდა. კაი ხანია რაც ქართველი სამღვდელოების ბედი და იღბალი ჩვენ გაძვალტყავებულ გლეხკაცობაზეა დამოკიდებული. როდესაც ჩვენი გლეხი მაძღარია, მაშინ ჩვენი სამღვდელოებაც დაპურებულია და როდესაც პირველს შიან, მაშინ უკანასკნელიც სიმშილს განიცდის. ეს მესამე წელიწადია რაც რომ ქართველ გლეხს თავის ლოლშვილისათვის აღარაფერი აქვს და მღვდელს, ძლიერაც რომ უნდოდეს, რა უნდა მისცეს? ბუნებისაგან მოვლენილ რისხვას ეს მეორე წელიწადია მსოფლიო ომის საშინელებაც დაერთო. ამ გარემოებამ მშრომელ გლეხკაცობასთან ქართველი სამღვდელოებაც უკიდურეს ნივთიერ გაჭირებაში ჩაგდო. ომის წყალობით ყოველივე მღვდელ-მოქმედება სოფლად ერთი ათად შემცირდა. კვნესისა და ტირილის მეტი აღარა ისმის რა სოფელში, და ამისთანა დროს გლეხისგან მღვდლის მიერ საზრდოს მოთხოვნა უკანონობასთან ცოდვაც კი არის. მაშ რითი უნდა ირჩინონ მღვდლებმა თავი? ის ოცდაეროი მანეთი, რომელსაც იგი თვეში ხაზინიდან ღებულობს, ამ საოცარი სიძვირის დროს, რას უნდა გახდეს? როგორც ყველა თეთრი ცხვარი მსუქანი არ არის აგრეთვე არც ყველა მღვდელია მდიდარი, რომ შენახული ქონებით ირჩინოს თავი. ეს მღვდელში ათს თუ ნახავთ, რომ სული ედგეს და ცოტათ თუ ბევრად ინტელიგენტურად ცხოვრობდეს. დანარჩენი კი სულს ღაფავს და ვალში და ვახჩშია ჩავარდნილი, მაგრამ გამკითხავი არავინ ჰყავს. უფროსი სასულიერო წოდება ნივთიერად ძალზე უზრუნველყოფილია და სხვისი ჯავრი ნაკლებად აცხელებს და სოფლის გლეხობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, თითონ სიმშილით კვდება და მღვდელს რა მისცეს. თავის თავად იბადება კითხვა: რა საშუალებით შეიძლება ქართველი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გამოკეთება? ამის პასუხისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა. სახალხო მასწავლებლების მაგალითი წინ გვიძევს. როგორც იმათ დაიარსეს ურთიერთ შორის კავშირი, ასევე უნდა მოიქცეს სამღვდელოებაც ქართველი სამღვდელოება აუცილებლად უნდა შეკავშირდეს, მცნებათ უნდა გაიხადოს აკაკის უკვდავი სიტყვები „ერთობა ჩვენთვის ტახტია—მტრისათვის სახრჩობელაო“. შეკავშირებულმა სამღვდელოებამ კატეგორიულად უნდა დაუყენოს კითხვა იმას, ვინც ჩვენს ეკლესიებს ადგილ-მამული ჩამოართვა: სურს თუ არა მას ქართველი სამღვდელოება შესაფერი ჯამაგირით უზრუნველჰყოს?! ჭოჭნიკით რომ არაფერი კეთდება ნუ თუ დღემდის ვერ ხედავს სამღვდელოება? ნამცეცების ძლევით ქართველ სამღვდელოებას ჰპირდებიან და ასეთი ხერხი დიდხანს გაგრძელდება, თუ სამღვდელოება არ გამოფხიზლდა და თავის თავს თითონ არ უშველის.

მ. ბუაჩიძე.

ქავილითა თუ ქადილითა?

ბერძნულ სახარებაშია **„ენითომენი** ტინ აკოინ“ (2 ტიმოთე, 4, 3).

ბერძნული „ტა იერა გრამმატა“-ში იგივე: **„გარგალიზომენი** ტინ აკოინ“.

სლავურშიაც, რომელიც თარგმნილია ბერძნულიდამ, იგივე ადგილი ტიმოთესი იკითხება ასე: „Чешеми слухомъ“.

ქართულ ბეჭდურშია: **„ქადილითა** ყურთათა“, ხოლო ქართულ ძველ ხელნაწერებში (№-ები 34, 137, 172, 368, 584 და სხ.) ქადილის მაგიერ ყველგან გვხვდება **ქავილი,** და ეს კი სწორად სწორი თარგმანია იმავე ბერძნულის **„გარგალისმოს“**,—(ღიტინი) და **„ენითო“** (ქავილი).

მთელი მუხლი (2 ტიმ., 4, 3) ძველის ნუსხებით: „რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს იდებენ (**ვარ. : იდებდენ**) და გულის თქმისა ებრ თავისა თჳსისა შეიკრებდენ მოძღუართა **ქავილითა** ყურთა-ჲთა, და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარე მიიქცინენ (**ვარ: მიაქცინენ**) და ზღაპრებასა მიექცნენ“.

ქავილია „ფხანის ავარდნა“, ხოლო **ქადილი** „სიყვით თავის სიკეთის თქმა“ (საბა), გარნა რთულად ხსენებული ბერძნული სიტყვები „გარგალისმოს“ და „ენითო“ ანუ, უკეთ, „ენითესთტინ აკოინ“ ნიშნავს არა „ყურთა ქავილს“, გინდ „ყურთა ქადილს“, არამედ ყურთა-სმენის ლიქვნას, მლიქვნელობით მსმენელთა ყურთა-სმენის მიპყრობას. და ამიტომ რუსულში ასეა: ... изберутъ себѣ учителей, которые льстили бы слуху“.

ამის მიხედვით ქართულშიაც უნდა ყოფილიყო: „გამოირჩევენ თავისთვის მოძღვართა, მლიქვნელთა ყურთა სმენისა“.

თუ „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, ენა ლიქვნ თ მოუბარი ოღონდაც აუქავლებს ყურებს არა ერთ გულუბრყვილო მსმენელს, და გადიბირებს.

მ. ჯანაშვილი.

დაგა-სოფლები

ძსნის ხეობა (დუშეთის მაზრა). როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ ეს ხეობა, ბუნებით იშვიათი სიმდიდრისა, უდაბნოთ არის მიგდებული. ოფიციალი მზრუნველები ჩვენთვის თავს არ იტკივებენ და თავისუფალი გულ-შემატკივარი ძალაც, სამწუხაროდ, სანთლით საძებნელია. რომ იტყვიან, ერთ ქვეყანაში აქლემი არ იყო და კატა აქლემი ეგონათო—სწორედ ეს ითქმის აქაურს ვითომდა „ინტელიგენციაზედ.“—ვისაც ანა-ბანა უსწავლია და „ზდრასტი-პრაშჩაი“, თავის თავი ინტელიგენტი ჰგონია და თავმომწონეთ იგრ ხებიან დატანჯული ხალხის წინ. უიჭველია, ასეთ პიროსბაში ვაი-ვაგლახით, კუს ნაბიჯით და მწარე გამოცდილებით მიცოცავს წინ ვლები-კაცი. ათასნაირი ცრუ-მორწმუნოება, ათასნაირი უკუსაგდები ადათი და წესები თითქმის ხელშეუხებელია, ტ პირ-იქით ბევრი მათგანი უფრო მტკიცდება სხვათა შორის სრულიად მოუმზადებელი, უვიცი სულიერი მამების მეოხებითაც.

ჩვეულებრივ მრავალნაირ ბედშაობას მთლად მონასტირის საზოგადოებას ზედ დაერთო თითქმის სრული მოუსავლობა. ბალახიც კი არ მოუვიდათ, რის გამო სხვათა შორის ჰყიდიან უკანასკნელ „ნიკორას„. უიარაღობამ ხომ გაალაღა ტყის ნადირი, მეტადრე დათვი და მგელი, რომლებიც დიდს ზიანს აყენებენ; ლამის ოჯახებში შეუვარდნენ და წარმოიდგინეთ, რა იქნება ზამთარში? ერთის სიტყვით, ჩვენს ხეობას ყველა მხრიდგან თავს დაატყდა არაჩვეულებრივი განსაცდელი.

მიხეილ ქსნელი.

ფეცდომის გასწორება

ქ. დორპატის სათვისტომოს შესახებ წერილში სრულიად უნებლიეთ დაგვავიწყდა მოხსენებულ საერთო თანხიდან გამოგვეკლო სათვისტომოს გამგეობის მიერ გაგალებული 83 მან. და ათი შაური. ასე რომ გამგეობის მოხსენებით სათვისტომოს აქვს 301 მ. და 79 კ., გამოკლებული 83 მ. და ათი შაური—ე. ი. 218 მ. და 29 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ	№ 5,	8.48 საღ
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „ საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“.** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 **отд.** 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა, რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით, საქმის ქაღალდის დაწერა, თხოვნების შედგენა, საქმის და თხოვნის წარმოება, ცნობების შეკრება, მოსამსახურის შოვნა, საქმიანი მინდობილობა, ბინის გაქირავება, ბინის შოვნა, მამულის ყიდვა, მამულის გასყიდვა, მამულის დაგირავება, მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმაბარეთ ცნობის კონტორას

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დალმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

ფუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійскій спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება ფუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საძონელი: ჩუღქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

გამოიცა და იყიდება

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

„Новое Слово“ — რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმღვანელო, ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ხ. ოცხელის მიერ.** ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მექონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Ссловo“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—21)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ ვიტალიანე ლ ა ლ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო. ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზრდილია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ლალიძე ჯან.
1900
ბ. ლალიძის ბრევ. № 6.
ბ. ლალიძის
ბ. ლალიძის
ბ. ლალიძის